ჩაბარდა 03.10.2014წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/დ511-14

"30" 09 2014 წ.

დადგენილება №000687
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

30.09.2014წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ დავით მედულაშვილმა განვიხილე 2014 წლის 29 ივლისის №000687 მითითება და 2014 წლის 14 აგვისტოს №000687 შემოწმების აქტი, შედგენილი ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "გაზაფხული"-ს (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №35) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, შარტავას ქ. №35-ში ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "გაზაფხული"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური ობიექტის (საცხოვრებელი, სავაჭრო და საოფისე) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/1051 18.05.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „1-14" ფასადზე 1-2 და 13-14 მონაკვეთებში +16.50 ნიშნულებზე კარ-ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. „14-1" ფასადზე -6.60 ნიშნულზე 6-1 მონაკვეთში და -3.30 ნიშნულზე 2*-1 მონაკვეთში ღია სივრცეები შევსებულია კაპიტალური კედლებით. 11-10 და 5-4 მონაკვეთებში დარღვეულია ლიფტის შახტების სისწორე. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების გაბარიტები, შეცვლილია ვიტრაჟების და კარების ნახატები. +56.10 ნიშნულზე მოაჯირებს მონაცვლებული აქვთ ადგილები. -6.60 და -3.30 ნიშნულებზე დამატებით მოწყობილია კოლონები. -3.30 ნიშნულზე 2-2 და 13-13 ღერძებზე დამატებულია რიგელები, გ-გ ღერძზე მონოლითურ კედლებში მოწყობილია ღიობები. +3.30 ნიშნულზე სართულშუა გადახურვის ფილაში მოწყობილია ღიობები. -6.60 და ±0.00 ნიშნულებს შორის დ-ე მონაკვეთში ლიფტის შახტებში გაუქმებულია თითო მონოლითური კედელი. ±0.00 და +13.20 ნიშნულებს შორის ბ-გ მონაკვეთში გაუქმებულია მონოლითური კედლები. +6.60 ნიშნულზე დ-ე მონაკვეთში 4"-4" ღერძთან და 10"-10" ღერძთან კარების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. +30.62 ნიშნულზე კიბის უჯრედებში და ლიფტის შახტებში დამატებით მოწყობილია კოლონები. ა-გ და დ-ე მონაკვეთებში ლიფტის შახტებში დამატებულია ფილები. +56.10 ნიშნულზე 7-8 მონაკვეთში დამატებულია კოლონები. გ-დ მონაკვეთში ნაწილობრივ

შეცვლილია მონოლითურ კედლებში მოწყობილი ღიობების გაბარიტები, ხოლო ნაწილობრივ შევსებულია. შეცვლილია კოლონების გაბარიტები. სადარბაზოებში შეცვლილია კიბეების კონფიგურაცია.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2014 წლის 29 ივლისს შედგენილ იქნა მითითება №000687, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2014 წლის 14 აგვისტოს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000687, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2014 წლის 12 სექტემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს, რომელიც სხდომაზე არ გამოცხადდა.

2014 წლის 26 სექტემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით კვლავ გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადნენ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "გაზაფხული"-ს თავმჯდომარე ვლადიმერი ზარდიაშვილი (პირადი №13001000697) და მისი წარმომადგენელი ბექა ბადრიშვილი (პირადი №01030018656, რწმუნებულება №121336230, რეგისტრირებული ნოტარიუს მაია ლაგურაშვილის მიერ 18.12.2012წ.). მათ დაადასტურეს მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება განთავსების გზით. ასევე განაცხადეს, რომ აპირებენ პროექტის კორექტირებას და მუშაობენ აღნიშნული კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "გაზაფხული"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, შარტავას ქ. №35-ში ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "გაზაფხული"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური ობიექტის (საცხოვრებელი, სავაჭრო და საოფისე) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/1051 18.05.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "გაზაფხული" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "გაზაფხული"-ს დაევალოს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "გაზაფხული"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

დ. მედულაშვილი

საგადახდო დავალება
Payment Order

1 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 30/12/2016

გადამხდელი / Sender

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა 'გაზაფხული', 205298444

რეფერენსი / Ref. Num.

1511664612

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE78TB7810636050100001

თანხა / Amount

4,280.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank | ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი | *TBCBGE22*

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოთხი ათას ორას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა 'გაზაფხული', 205298444*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 205298444

მიმღები / Receiver

აღსრულების ეროვნული ბიურო

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code GE41BG0000000222222222

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury | ბანკის კოდი / Bank Code

სს "საქართველოს ბანკი" | *BAGAGE22*

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

30/12/2016

გადახდის დანიშნულება / Operation Details

სააღსრულებლო საქმე: A16122032, საინკასო დავალება: BR16217063, გადახდის კოდი: 1628005869

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

სრული დაფარვა, რიგითი # 1, ინკასო # BR16217063, 22/11/2016, განაღდებული თანხა: 4280.00, დარჩენილი ნაშთი: 0.00

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

დასტამპულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.